საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის
მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შპს „გლობალ რესაიქლინგ კო“ ხობის მუნიციპალიტეტში, სოფ. ახალსოფლის მიმდებარედ არსებულ 280273 m^2 ფართობის ტერიტორიაზე გეგმავს მეორადი ნედლეულის გადამამუშავებელი (პოლიმერული ნარჩენების და ქაღალდის აღდგენა) საწარმოს მშენებლობას და ექსპლუატაციას. პროექტის მიხედვით საწარმოს ტერიტორიაზე გათვალისწინებულია, ასევე ნარჩენების გადამუშავების პროცესში წარმოქმნილი სახიფათო საწარმოო ნარჩენების საწვავი ღუმელის/ინსინერატორის მოწყობა.

საწარმოს ბიზნეს გეგმის მიხედვით დაგეგმილი საქმიანობა განხორციელდება 2 ეტაპად. პირველ ეტაპზე დაგეგმილია პოლიმერული ნარჩენების გადამუშავებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა, ხოლო მეორე ეტაპზე მოხდება ქაღალდის ნარჩენების გადამუშავების ინფრასტრუქტურის მოწყობა.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 10.3. ქვეპუნქტის მიხედვით დაგეგმილი საქმიანობა წარმოადგენს სკრინინგის პროცედურას დაქვემდებარებულ საქმიანობას, მაგრამ რადგან საწარმოში იგეგმება საწარმოო ნარჩენების საწვავი ღუმელის/ინსინერატორის მოწყობა და ექსპლუატაცია, საქმიანობა ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურას. აღნიშნულის გათვალისწინებით, დაგეგმილ საქმიანობას გავლილი აქვს სკოპინგის პროცედურა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 25.11.2019 წლის N2-1134 ბრძანებით გაცემულია სკოპინგის დასკვნა N120.

წარმოგიდგენთ განსახილველად, მეორადი ნედლეულის გადამამუშავებელი (პოლიმერული ნარჩენების და ქაღალდის აღდგენა) საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და გთხოვთ შესაძლებლობის შემთხვევაში შპს „გლობალ რესაიქლინგ კო“-ს სახელზე გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

წერილს თან ერთვის:

- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მოსკრებლის (500 ლარი) გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (სანებართვო მოსაკრებლის მიმღები სახაზინო კოდი: 300773080);
- მეორადი ნედლეულის გადამამუშავებელი (პოლიმერული ნარჩენების და ქაღალდის აღდგენა) საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქედების შეფასების ანგარიში - 1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- გზშ-ის ანგარიშის არატექნიკური რეზიუმე - 1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის სიტუაციური გეგმა (მანძილების მითითებით);
- საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი -3 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ზედაპირულ წყლებში ჩამდინარე წყლებთან ერთად მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების პროექტი - 3 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „გლობალ რესაიქლინგ კო“ -ს რეგისტრაციის თაობაზე;

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი
№ 8522
„09“ 06 2020
03

- დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია და საპროექტო ტერიტორიის გეოგრაფიული კოორდინარები GIS-ის სისტემაში.

პატივისცემით,

იუსი ჰონგ

შპს „გლობალ რესაიქლინგ კო“ -ს დირექტორი